დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს „ახალი ქართულ-ევროპული სკოლა“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**402047771**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	არა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ილია შეყლაშვილის ქ. N 23
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ილია შეყლაშვილის ქ. N 23
საფოსტო ინდექსი	0160
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://newschool.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@newschool.edu.ge;
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599753814; 592111100
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ლალი გარდაფხაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599753814
ელ-ფოსტა	lali1959@mail.ru

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	განათლების ხარისხის განვითერების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 ნოემბერი N1250792 ბრძანება
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე, თავმჯდომარე; ეკატერინე ვეკუა, წევრი
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	2021 წლის 29 ნოემბერი
დასკვნის მომზადების თარიღი	2021 წლის 15 - 20 დეკემბერი
დასკვნის წარმოდგენის თარიღი	2021 წლის 20 დეკემბერი

შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.1. ვ)*	გამოინახოს დამატებითი რესურსი (დარბაზის ან სტადიონის სახით), სადაც შესაძლებელი იქნება აქტიური სპორტული ღონისძიებების განხორციელება.
	2.2.	რეკომენდაცია სკოლას - სველი წერტილების რაოდენობა გაზარდონ
	2.3	ბიბლიოთეკაში წიგნები დაამუშაონ შესაბამისი წესით და გაატარონ საინვენტარო წიგნში

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	თითოეული მოსწავლის მომავლის ფორმირება ეფექტური სწავლა/სწავლების გზით. სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი, ანალიტიკური აზროვნების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების გზით ჩამოაყალიბებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიმღებ, წარმატებულ ცხოვრებაზე ორიენტირებულ თაობას.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**წინა ვიზიტის პერიოდში რეკომენდაციები გაიცა პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზები არ ყოფილა, თუმცა სკოლამ შეიცვალა წინა ვიზიტის დროინდელი ადგილსამყოფელი.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აქვს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი 1000 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა, რომელიც ორ სართულიანია. შენობას აქვს სხვენი, რომელიც გამოიყენება სასწავლო დანიშნულებით. შენობა-ნაგებობა საერთო ფართით: 854.38 კვ.მ. (მათ შორის I სართული ფართით:297.48 კვ.მ., II სართული ფართით: 295.65 კვ.მ., სხვენი 261.25 კვ.მ.)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 08/11/2021, იჯარის საბოლოო თარიღია 08/11/2031. შენობის მესაკუთრეები არიან სკოლის დირექტორი და სკოლის იურისტი, მათგან სკოლის დირექტორი ამავე დროს სკოლის დამფუძნებელია.
ფაქტობრივი მისამართი	**ქ. თბილისი, ილია შეყლაშვილის ქ. N 23**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.72.14.033.009**
კვ.მ.	854.38
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; შიდა აზომვითი ნახაზი; საკადასტრო გეგმა; იჯარის ხელშეკრულება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობაში სულ 15 საკლასო ოთახია, გარდა ამისა, არის ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტი, კომპიუტერული ოთახი, საიზოლაციო ოთახი, ბიბლიოთეკა და ორი ოთახი, რომელიც გამოიყენება სპორტული დარბაზის დანიშნულებით. ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ოთახი გამოიყენება ასევე ადმინისტრაციის და მასწავლებელთა სამუშაოდ. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, სასკოლო დაფებით. სკოლას მერხების და სკამების ფლობის დოკუმენტაციით აქვს 195 მერხი და 259 სკამი. რეალურად სკოლაში 195 მერხზე ბევრად მეტი მერხია, სკამები, კი 200 ერთეულამდეა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობა ორსართულიანია და აქვს სხვენი. სხვენი კეთილმოწყობილია და დამატებითი სართულის ფუნქციას ასრულებს, თუმცა დაბალჭერიანია. ამ სართულზე, სკოლას გარდა 4 საკლასო ოთახისა, ორ-ორი საკლასო ოთახის გაერთიანებით მიღებული აქვს ორი შედარებით დიდი ოთახი, რომლებიც გამოიყენება სპორტული დარბაზის დანიშნულებით. ერთ მათგანში დგას ჩოგბურთის მაგიდა თავისი ინვენტარით, მეორე დარბაზი ცარიელია. სკოლას აქვს ორი ლეიბი, ჭადრაკის სადემონსტრაციო დიდი დაფა და მცირე დაფები. დარბაზები გუნდური სპორტული თამაშებისთვის ვერ გამოდგება, თუმცა ტანვარჯიში, აერობიკა და სხვა მსგავსი აქტივობებისთვის საკმარისია. დირექტორის განმარტებით, სკოლის ეზოს გამოიყენებენ სირბილისთვის და მხიარული სტარტების მსგავსი აქტივობებისთვის, თუმცა ექსპერტთა აზრით ეს არ იქნება უსაფრთხო, რადგან ეზო მოპირკეთებულია ქვაფენილით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამონახოს დამატებითი რესურსი (დარბაზის ან სტადიონის სახით), სადაც შესაძლებელი იქნება აქტიური სპორტული ღონისძიებების განხორციელება. არგუმენტირებულ პასუხში სკოლა იტყობინებოდა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს. საფეხბურთო კლუბთან ,,საბურთალო დიდი დიღომი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 405281859), შესაბამისად, სკოლის მოსწავლეები ისარგებლებენ საფეხბურთო კლუბის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სარგებლობაში არსებული სპორტული მოედნებით.“ (იხ. არგუმენტირებული პასუხის დანართი 1). უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა შპს საფეხბურთო კლუბ ,,საბურთალო დიდი დიღომი“-ის სტადიონები რამდენად შორს მდებარეობს სკოლიდან, მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების მოტივით, და აღმოჩნდა, რომ მათ სარგებლობაში საჯარო რეესტრში არ ფიქსირდება რაიმე სახის უძრავი ქონება (და შესაბამისად არც სტადიონები). საჯარო რეესტრში 2019 წელს დაფიქსირებულია მხოლოდ საფეხბურთო კლუბის მცდელობა, - ქირავნობით დაერეგისტრირებინათ უძრავი ნივთი (სავარაუდოდ სტადიონი), თუმცა საჯარო რეესტრმა უარი უთხრა დარეგისტრირებაზე რადგან, გამქირავებელის მხრიდან ქირავნობის ხელშეკრულება არაუფლებამოსილი პირის მიერ იყო ხელმოწერილი. (იხ. დანართი 1).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია; ინტერვიუ დირექტორთან; ვიზუალური დათვალიერება; საჯარო რეესტრის უარი ქირავნობის რეგისტრაციაზე (დანართი 1).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება N572-ით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე დამტკიცებულ რეკომენდაციების“ შესაბამისია. აღჭურვილობა განთავსებულია კარადებში, ცალკე, ლაბორატორიისთვის გამოყოფილ კაბინეტში. ოთახში მოწყობილია ონკანი ნიჟარით და ოთახს აქვს ბუნებრივი განიავების საშუალება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ლაბორატორიის ფლობის დოკუმენტაცია; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ელექტროენერგია, გაზი და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. გარდა ამისა ელექტროენერგიის მომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში სკოლას აქვს გენერატორი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლას ავტონომიური ელექტროენერგიით. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის სისტემა. სკოლის ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის განთავსებულია პირველ სართულზე და სხვენად წოდებულ სართულზე. პერსონალისთვის ცალკე სველი წერტილები არაა გამოყოფილი, სკოლას მიეცა რეკომენდაცია პერსონალისთვის ცალკე გამოყოს სველი წერტილები, ან დაამატოს ცალკე. პირველ სართულზე არსებულ სველ წერტილებში თითო კაბინა გამოყოფილია და ადაპტირებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე. სველ წერტილები აღჭურვილია ქაღალდით, თხევადი საპნით, ქაღალდის ხელსახოცებით და ყოველ დასვენებაზე და დამატებით საჭიროების შემთხვევაშიც მუშავდება კოვიდრეგულაციების სრული დაცვით. სკოლის არგუმენტირებული პოზიციიდან, დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით იკვეთება, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ცალკე გამოყო სველი წერტილები სკოლის პერსონალისთვის. კერძოდ, დაწესებულებამ სხვენად წოდებულ სართულზე არსებული მოსწავლეთათვის განკუთვნილი სველი წერტილი პერსონალს დაუთმო (იხ. არგუმენტირებული პასუხის დანართი 2). სველი წერტილების ასეთი გადანაწილებით, მოსწავლეთა სრული დატვირთვის პირობებში შესაძლოა სველი წერტილები აღარ იყოს სკოლისთვის საკმარისი, რადგან აღმოჩნდება, რომ მხოლოდ პირველ სართულზე

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	არსებული სველი წერტილებით უნდა ისარგებლოს 195 მოსწავლემ. ამიტომ რეკომენდაცია ისევ ეძლევა სკოლას, რომ გაზარდონ სველი წერტილების რაოდენობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა სკოლის პირველ სართულზეა განლაგებული, რომელშიც გათავსებულია დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისათვის, ასევე, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. სკოლას არ ჰქონდა სრულად I- IX კლასის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, თუმცა, ვიზიტის დროს წარმოადგინეს აღნიშნული კლასების სახელმძღვანელოების შეძენის გადახდის ქვითარი და შეკვეთის ზედდებული. ბიბლიოთეკაში საინვენტარო წიგნის მიხედვით წიგნადი ფონდი შეადგენს 1130 ერთეულს. წიგნადი ფონდის გარკვეული ნაწილი დასამუშავებელია საბიბლიოთეკო წესით,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ექსპერტების მიერ, გაცემულია რეკომენდაცია დაამუშაონ წიგნები შესაბამისი წესით და გაატარონ საინვენტარო წიგნში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი და ქსეროქსის აპარატი, რომლებიც განკუთვნილია მკითხელთათვის სკოლას ჰყავს ორი ბიბლიოთეკარი, რომლებიც მონაცვლეობით მუშაობენ სკოლის არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულება გვატყობინებს, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია, დაამუშავა წიგნები საბიბლიოთეკო წესით და გაატარა საინვენტარო წიგნში (იხ. არგუმენტირებული პასუხის დანართი 3). დანართში წარმოდგენილია საინვენტარო წიგნი, რომელშიც ჩანს 1130 ნომრის (ვიზიტის პერიოდის ბოლო ნომერი) შემდეგ წიგნების გატარება, თუმცა ეს ის ახლადშეძენილი I-IX კლასის სახელმძღვანელოებია, რომელიც სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეიძინა და ბუნებრივია ექსპერტთა რეკომენდაცია ამ წიგნების დამუშავებას კი არა, სკოლაში არსებულ მხატვრულ ლიტერატურას ეხებოდა.ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი ვერ დაეთანხმება სკოლას, რომ მან გაითვალისწინა კონკრეტული რეკომენდაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ბიბლიოთეკის დებულება; ვიზუალური დათვალიერება; სახელმძღვანელოების შესყიდვის ზედდებული და გადახდის ქვითარი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, თუმცა სკოლის პირველ სართულზე არის ადაპტირებული ორი სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის. ამავე სართულზეა განლაგებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და ადმინისტრაცია, რომელიც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეს შეუზღუდავ წვდომას რესურსებთან. სკოლას აქვს ლიფტის მოძრავ/ასაღები პანდუსები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში კიბეებზე დადებენ..
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მფლობელობაშია ინტერნეტში ჩართული 20 კომპიუტერი; აქედან კომპიუტერების ოთახში განლაგებულია 7 პერსონალური კომპიუტერი და 8 ლეპტოპი, ხოლო ბიბლიოთეკაში 1 პერსონალური და 4 ლეპტოპი. გარდა ამისა, სკოლას აქვს ერთი კომბაინის აპარატი (ქსეროქს-პრინტერი). სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი www.newschool.edu.ge , სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, ასახულია სკოლის სიახლეები და ატვირთულია სკოლის დოკუმენტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დოკუმენტები, სკოლამ შეცვალა (შინაგანაწესი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), მაგრამ ვებგვერდზე, ატვირთული ორივე ვერსია - ძველიც და ახალიც. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია ატვირთოს მხოლოდ მოქმედი დოკუმენტები. სკოლამ ასევე წარმოადგინა ჰოსტინგისა და დომეინის ფლობის დოკუმენტაცია. სკოლას მიეწოდება ინტერნეტი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების პერიოდისთვის, გაითვალისწინა რეკომენდაცია და ვებ გვერდზე განათავსა სასკოლო დოკუმენტაციის ახალა ვერსიები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია. ჰოსტინგისა და დომეინის ფლობის დოკუმენტაცია; ვიზუალური დათვალიერება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები. შენობა აღჭურვილია სახანძრო კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორებით, ცეცხლმაქრებით, შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. სკოლას შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“,
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	„წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“; ვიზუალური დათვალიერება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექიმი და ექთანი, რომლებიც ერთმანეთის მონაცვლეობით მუშაობენ. შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო ინვენტარი: მაგიდა,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სამედიცინო ტახტი, ონკანი ნიჟარით, მაცივარი, კარადა, პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, რომლებიც სისტემატიურად ახლდება. საქართველოში ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს ინფექციური დაავადებების მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა. „ხშირად ხმარებადი ზედაპირების სადეზინფექციო სამუშაოების სწორად მოხმარების წესი"; განსაზღვრული ჰყავს „კორონავირუსისინფექციასთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები" სკოლაში კოვიდრეგულაციების შესაბამისად, ხდება ვიზიტორთა ტემპერატურის შემოწმება, შენობის შესასვლელში განთავსებულია დეზობარიერი და სადიზენფექციო სითხის მოწყობილობები მთელს შენობაში, გამოკრულია ვირუსის პრევენციის ამსახველი პოსტერები. მოწყობილია საიზოლაციო ოთახი, მათთვის ვისაც ტემპერატურა დაუფიქსირდება, რომლებიც აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. შენობის სველი წერტილები, საკლასო ოთახები და ხშირად შეხებადი ზედაპირები მუშავდება სადეზინფექციო ხსნარებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	„წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები"; „ხშირად ხმარებადი ზედაპირების სადეზინფექციო სამუშაოების სწორად მოხმარების წესი" ვიზუალური დათვალიერება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლას ჰყავს დარაჯი. სკოლის ტერიტორია შემოღობილია კედლით და ჭიშკარი დაკეტილია, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება გარეშე პირთა სკოლაში მოხვედრისგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	„წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიგნით დამონტაჟებულია 5 კამერა, რომლითაც კონტროლდება დერეფნები და კიბის უჯრედები. გარე კამერები დამონტაჟებულია ისე, რომ ერთი კამერით კონტროლდება სკოლის შენობის უკანა ეზოს შემოსასვლელი, ერთი კამერით - ეზო და მთავარი შესასვლელი - ერთი კამერით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების თანახმად მთავარ შესასვლელზე უნდა იყოს ორი კამერა და ზემოხსენებული წესების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მთავარ შესასვლელზე დაამონტაჟოს დამატებით კიდევ ერთი კამერა, მით უმეტეს, რომ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლას კიდევ აქვს დაუმონტაჟებელი ერთი კამერა და დამონტაჟება მხოლოდ ტექნიკური საკითხია. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების მომენტისთვის გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და მთავარ შესასვლელზე დაამატა მეორე კამერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	კამერების ფლობის დოკუმენტაცია; ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სახელის ცვლილებასთან და მატერიალური რესურსის, კერძოდ კი შენობის ცვლილებასთან დაკავშირებული განცხადთან ერთად სკოლამ ცენტრში წარადგინა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის სკოლის წესდება და შინაგანაწესი, ხოლო ვიზიტის დროს სკოლამ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ექსპერტებს წარუდგინა ახალი დამტკიცებული შინაგანაწესი და სკოლის დებულება. სკოლის განმარტებით, ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გარდა ზემოთაღნიშნული ცვლილებისა განხორციელდა დამფუძნებელთა და სკოლის მმართველი რგოლის ცვლილებაც, რაც ბუნებრივია გამოიწვევდა გარკვეული დოკუმენტების ცვლილებას. სკოლის მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი შინაგანაწესი და დებულება ძირითადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა არის გარკვეული უზუსტობებიც, კერძოდ შინაგანაწესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით მოცემულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა წარადგინოს სკოლაში დასაქმების მსურველმა, ჩამონათვალს შორის არ არის გათვალისწინებული ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33[1] მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც <u>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.</u> გარდა ამისა სკოლის შინაგანაწესის მე-6 მუხლით განსაზღვრულია სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება. ამ მუხლში აღწერილი პროცედურიდან არ ირკვევა, ვერ დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციებს, კერძოდ შიდა და გარე კონკურსის არსებობას და სკოლაში მასწავლებლის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ვაკანსიის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გამოცხადებას არა ნებისმიერ დასაქმების საიტზე, არამედ აუცილებლად, რეგულირებად http://teacherjobs.ge -ზე. ასევე შეუთავსებელია: ა) შინაგანაწესის მე-14 მუხლი „შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო“ მოქმედი კანონმდებლობასთან, კერძოდ შრომის კოდექსის 37-ე მუხლთან; ბ) შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი რეგულირდება შრომის კოდექსის 38-ე მუხლით, შრომის კოდექსის 38*ე მუხლი, კი შეეხება „შვებულებას ახალშობილის შვილად აყვანის გამო“; შინაგანაწესის 34-ე მუხლით განსაზღვრულია შინაგანაწესის დამტკიცების წესი, რომლის მიხედვითაც შინაგანაწესს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს **დირექტორატი.** სკოლის დებულებით კი (იხ დებულება მუხლი 3 „სკოლის სტრუქტურა და მართვა“) ასეთი სტრუქტურული ერთეული განსაზღვრული არ არის. ამასთან შინაგანაწესი დირექტორის მიერაა დამტკიცებული და არა დირექტორატის მიერ. (იხ. ბრძანება 01/53). სკოლის დებულებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულები და აღწერილია მათი უფლება მოვალეობები. სკოლის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლამ ცენტრში არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად გადმოაგზავნა შინაგანაწესის ახალი რედაქცია და განაცხადა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობასი მოიყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის დებულება; სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, სახელისა და დამფუძნებელთა შეცვლამდე, შემუშავებული ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები და ეს გეგმები გადმოაგზავნა კიდეც ცენტრში განაცხადის გაკეთებისას, თუმცა ექსპერტთა ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლამ შეცვალა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ნაწილი და წარმოადგინა შეცვლილი ვერსია, რომელიც ეხებოდა მხოლოდ პირველ სემესტრსის განსახორციელებელ აქტივობებს (თუმცა დოკუმენტს კი აწერია 2021/2022 წლის სამოქმედო გეგმა) და მეორე სემესტრში განსახორციელებელი აქტივობები იგივე დატოვა. სკოლას ეძლევა რეკომენდავია, აღქმის რთიანობის მიზნით, ერთ დოკუმენტში, ამასთან გაურკვეველია როგორ გამიჯნა აქტივობების შესრულების ვადები სემესტრებად ძველი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დოკუმენტიდან, რადგან ძველ დოკუმენტში შესრულების ვადებად მითითებულია „მთელი წელი, ხოლო ახალ დოკუმენტში შესრულების ვადებად განსაზღვრულია თვეები ერთწლიანი გეგმისგან განსხვავებით, სკოლამ არ შეცვალა ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა, რაც სკოლის უფლებაა, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციით, მასში ცვლილებების შეტანა ლოგიკური იქნება, რადგან სკოლამ განიცადა ძირეული ცვლილებები, მით უმეტეს მატერიალური რესურსის მიმართულებით. სკოლამ ცენტრში არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად გადმოაგზავნა ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმების ახალი რედაქცია, და განაცხადა, რომ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და დოკუმენტაციაში შეიტანა ცვლილებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	6 წლიანი სტრატეგიული გეგმა; 1 წლიანი განვითარების გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში იწარმოება შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; სკოლის დირექტორის საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. ჟურნალების შესაბამის საქაღალდეებში დაცულია შესაბამისი კორესპოდენციის ასლები ან დედნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; ჟურნალების შესაბამისი საქაღალდეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

რეკომენდაციები:	სკოლამ გამონახოს დამატებითი რესურსი (დარბაზის ან სტადიონის სახით), სადაც შესაძლებელი იქნება აქტიური სპორტული ღონისძიებების განხორციელება. პერსონალისთვის ცალკე გამოყოს სველი წერტილები, ან დაამატოს ცალკე ბიბლიოთეკაში წიგნები დაამუშაონ შესაბამისი წესით და გაატარონ საინვენტარო წიგნში სკოლას ეძლევა რეკომენდაცია ატვირთოს მხოლოდ მოქმედი დოკუმენტები. დამატებით დაამონტაჟოს ერთი კამერა მთავარ შესასვლელზე სკოლის დოკუმენტაციისს გარკვეული პუნქტები შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან ერთწლიანი გეგმა განსაზღვროს მთელ წელზე და არა მხოლოდ ერთ სემესტრზე, ასევე სკოლამ განახორციელოს სტრატეგიული გეგმის რევიზია და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები.
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	☐ სტანდარტი დარღვეულია

X. თანდართული დოკუმენტაცია

1. დანართი 1. - სტადიონის ქირავნობაზე საჯარო რეესტრის უარი სპორტულ კლუბს - 1 ფურცელი

თბილისი 03.12.2021

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 36

36

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.